საქართველო

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის

საკრებულო

დადგენილება № 19

2010 წლის 9 სექტემბერი

„თვითმმართველი ქალაქი რუსთავის სარკებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2010 წლის 2 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44–ე მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1.მე–3 მუხლის მე–9 პუნქტის „გ[1]“ პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე–3 მუხლის მე–11 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„დ. მუნიციპალური არქივის შექმნა და საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენა.“

3. მე–3 მუხლის მე–12 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„12. თვითმმართველი ერთეულის საკუთარ და საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით საკრებულოს შეუძლია შექმნას საკონსულტაციო, სათათბირო და მონიტორინგის ჯგუფები, რომლის შემადგენლობაშიც გარდა საკრებულოს წევრებისა და თვითმმართველობის მოხელეებისა, შესაძლებელია ჩართული იყვნენ რიგითი მოქალაქეები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.“

4.მე–17 მუხლის მე–2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ[1]“ ქვეპუნქტი:

„ქ[1]. გასცემს მშენებლობის ნებართვას და შენობა–ნაგებობის ვარგისიანად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) აქტს, მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

აღნიშნული დასკვნა წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.“

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ***კახა ბარათაშვილი***